ოქმი:**ო02. 3723093001**

თარიღი:**03/04/2023**

ოქმი № 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 30 მარტი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი. ნ. ჭანიშვილი, ნ. ურუშაძე, ალ. ბურჭულაძე, დ. ჭაკნელიძე, გ. შილაკაძე, ტ. აროშიძე, გ. სირაძე, თ. ტუღუში, თ. გოგუაძე, შ. თავდიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელდების არმქონე ქუჩების სახელდების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

მომხსენებელმა, ბ. თოიძემ პირველ საკითხზე აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და ვადებში, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, გრანტებსა და ა.შ. შემდეგ კონკრეტულად განიხილა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებლები. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული დღის წესრიგში შეტანილი განკარგულების პროექტი, ისაუბრა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მნიშვნელობაზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელდების არმქონე ქუჩების სახელდების თაობაზე წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ, აღინიშნა, რომ პროექტში არსებობს ტექნიკური შეცდომა-ზოგიერთი სოფელი მოხსენიებულია დაბად, რაც ბიუროს სხდომამდე უნდა გასწორდეს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და, ზემოთ ნახსენები შენიშვნის გათვალისწინების შემდეგ, მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი სამივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით, ამასთან N3 საკითხში გასწორდეს დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი